


«ქართული ენის თესაურუსი»
ანუ
«მასალები ქართული ენის ღოკუმანტილებული
ლექსიკონისათვის»*

ქართული კულტურისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ქართული ენის ისტორიული განვითარების შესწავლა თხუთმეტ საუკუნოვანი მწერლობის ძეგლების საფუძველზე. ამ მიზნით საჭიროა გამოიცეს სხვადასხვა ხასიათის ლექსიკონები და „თესაურუსები“.

საქართველოს მთავრობის მინისტრის აკადემიური კარტოცემის
GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES
აკად. გ. წერეთლის სახ. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის
და „ქართული ენის თესაურუსის“ კომისია



„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში, რომელიც დაარსებული იყო 1962 წელს ირაკლი აბაშიძისა და გიორგი წერეთლის მიერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან, უკვე მრავალი წლის მანძილზე მიმდინარეობს მუშაობა ქართული ენის ლექსიკური მარაგის შესწავლაზე. შექმნილია ქართული ენის უმდიდრესი ლექსიკური ფონდი, რომლის კარტოთეკა ექვს მილიონამდე ბარათს ითვლის. ამ ფონდის შევსება და გამდიდრება კვლავაც უნდა გაგრძელდეს უძველესი გამოუქამნებელი ხელნაწერების დამუშავების მიმართულებით, აგრეთვე მე-19 და მე-20 საუკუნეების ჩვენი მწერლობისა და პრესის ენის ასახვით, მდიდარი სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და დიალექტური მასალის გათვალისწინებით.

ჩვენ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ამჟამად ამ სალექსიკონო ფონდის კომპიუტერული დამუშავება, კომპიუტერიზებული ლექსიკური არქივის შექმნა და პარალელურად მისი გამოსაქვეყნებლად მომზადება და პუბლიკაცია რამდენიმე წლის მანძილზე ცალკეული ნაკვეთების სახით (სავარაუდოა, 100 ნაკვეთად, თითო ნაკვეთი – 10 საავტორო თაბაზის მოცულობით). ეს იქნება „მასალები ქართული ენის დოკუმენტირებული ლექსიკონისათვის“, რომელშიც წარმოდგენილი იქნება კველა შესაძლებელი სიტყვა-ფორმის სახით ქართული ენის დოკუმენტურად ფიქსირებული პერიოდის (მე-5 საუკუნიდან ვიდრე მე-20 საუკუნის ჩათვლით) მთელი ლექსიკა, ქრონოლოგიურად დალაგებული ტექსტობრივი საილუსტრაციო მასალით.

ამგვარ «ლექსიკონში» აისახება ქართული ენის უმდიდრესი მრავალსაუკუნოვანი სიტყვიერი მარაგი. ეს იქნება «ქართული ენის თესაურუსი» ანუ „ქართული ენის ლექსიკური საუნჯე“, ანალოგიური საქვეყნოდ ცნობილი ბერძნული, ლათინური,

ინგლისური, ფრანგული, გერმანული, იტალიური და ზოგი სხვა ენის «თუსაურუსებისა».

ამის საფუძველზე შესაძლებელი გახდება ქართული ენის სხვადასხვა ხასიათის სპეციალური ლექსიკონების შედგენა, მათ შორის საკუთრივ ისტორიული სა და ისტორიულ-ეტიმოლოგიურისა.

«ქართული ენის თუსაურუსები» სალექსიკონო ერთულები დალაგდება ანბანური წესით, სათანადო ლექსიკური ერთულის ფველა დოკუმენტურად დადასტურებული სიტყვაფორმის საილუსტრაციო კონტექსტში მოტანით თვით ეს სიტყვაფორმები სათანადო ლექსიკური ერთულის „ბუდეში“ ანბანურად იქნება წარმოდგენილი, ხოლო დათარიღებული ხელნაწერებიდან და გამოცემული ტექსტებიდან ამოღებული შესაბამისი საილუსტრაციო მასალა ქრონოლოგიურად განაწილდება, რაც საშუალებას მოგვცემს დოკუმენტურად დაგადასტუროთ ამა თუ იმ სიტყვის გამოჩენა ქართულში და თვალი გავადევნოთ მის ისტორიულ განვითარებას მთელი დოკუმენტურად ფიქსირებული პერიოდის მანძილზე.

ეროვნული ენის „თუსაურუსები“ შექმნა ყველგან დიდ ეროვნულ საქმედაა მიჩნეული და მუდამ ქვეყნის სახელმწიფოებრივი კურადღების ცენტრშია. ჩვენშიაც ეს წამოწყება უნდა გახდეს ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა. აღნიშნული სამუშაოს დროულად და სათანადო დონეზე შესრულებისათვის საჭირო იქნება ჩვენი ძირითადი სამეცნიერო დაწესებულებების დახმარება და ამ დიდ წამოწყებაში ჩართვა, ამასთანავე სხვადასხვა გრანტებისა და დოტაციების (მათ შორის უცხოურის) მოზიდვა. ამ საქმეში უკვე ჩაერთნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით სხვადასხვა აკადემიური ინსტიტუტების წარმომადგენლები, აგრეთვე ფანე ჯავახისა და სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებითა და უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებულებით უნივერსიტეტის სათანადო სამეცნიერო კათედრები და ფაკულტეტები. მთელი ეს სამუშაო ტარდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „კერძოსა და მეცნიერებათა აკადემიის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის საერთო ხელმძღვანელობით.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მომავალ საუკუნეში ეს იქნება ჩვენი მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუბლიკაცია, ჩვენი ენისა და კულტურის განვითარებისათვის დამხმარე საშუალება და ქართული მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა და, საერთოდ, მთელი განათლებული ქართული საზოგადოებისათვის აუცილებელი სამაგიდო წიგნი.